MES 1 23 0000818680

04/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.06.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი -შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი- საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რატი რატიანი -შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი- საბჭოს მდივანი;
4. ნინო ბაქრაძე- სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. მარინე მაისურაძე- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

7. ერმილე მესხია- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. ლევან ნიკოლეიშვილი- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. მარინა ქავთარაძე- სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. ქეთევან ქუთათელაძე- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ნინო ღაღანიძე- სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. თინათინ ჭაბუკიანი- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. ნინო ჭალაგანიძე -შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე- შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. მამუკა ხუსკივაძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
17. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
18. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
19. ხათუნა თოდაძე - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი

1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი,გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	საფფეთ ბაირაქთუთან		უნივერსიტეტის რექტორი	I
2	ნინო ჯოჯუა		პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
3	თეა კბილცეცხლაშვილი		პრორექტორი სამეცნიერო დარგში	I

4	ქეთევან ნანობაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	ილია ბოცვაძე		ბიზნესის სკოლის დეკანი	I
6	ეკა დევიძე		ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმის და ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმის (ინგლისურენოვანი) პროგრამების ხელმძღვანელი	I
7	არჩილ ჯანგირაშვილი	სსიპ - საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	II
9	სამად ხაკსარმაღამი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	კახაბერ თავზარაშვილი		პროფესორი	II
11	მერაბ თოფურია		მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნატალია კვაჭანტირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ქეთევან მენთეშაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელეს საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" და „ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლსიურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ინანაშვილმა. მან საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2022 წლის 05 აგვისტოს №878033 ოქმის თანახმად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2 მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით. თუმცა ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტი ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ ვინაიდან სხდომაზე დასწრებას ვერ ახერხებდა მოწვეული ექსპერტი ია ფანცულაია, რომელმაც განახორციელა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურიენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განმეორებითი შეფასება, მიზანშეწონილი იყო საკითხების გადადება სამომავლო მოსმენისათვის. საბჭო მიიჩნევდა, რომ იმისათვის რომ განხორციელებულიყო ობიექტური შეფასება და მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო განხილვაზე ზეპირი პოზიცია დაეფიქსირებინა შეფასების განმახორციელებელ ექსპერტს.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ წარმოდგენილ პოზიციას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" და „ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" და „ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი Business Administration – Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09/12/2011 გადაწყვეტილება №447
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი/Tourism

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
		ქ.თბილისი, 0131, დავით

14	განხორციელების ადგილი	აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი Business Administration – Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09/12/2011 გადაწყვეტილება №432
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი/Tourism

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა და საბჭოს წევრმა, ლევან ნიკოლეიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას გაუძღვასაბჭოს თავმჯდომარის მოადგილენათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამები შემუშავებული იყო 2010 წელს, 2011 წელს პროგრამებს გავლილი ჰქონდათ აკრედიტაცია, მოგვიანებით ვადების გადადებასთან დაკავშირებით 2017 წელს ავტორიზაციის ფარგლებში მოხდა პროგრამებში გარკვეული ცვლილებების განხორციელება, ხოლო 2022 წელს პროგრამები წარმოდგენილი იქნა სააკრედიტაციოდ დადგენილი ვადის მიხედვით. პროგრამაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ეხებოდა მიზნების და შედეგების ურთიერთკავშირის შესაბამისობას, განახლდა სასწავლო ლიტერატურა, განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა და ა.შ.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ მთლიანობაში პროგრამებმა დატოვა დადებითი შთაბეჭდილება, დასკვნის მიხედვით მთელი რიგი კომპონენტები სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. მან საბჭოს წევრებს გააცნო თითოეულ პროგრამაში ასახული რეკომენდაციები სტანდარტის კომპონენტების მიხედვით.

„ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის“ საბალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით პირველი სტანდარტის 1.5 კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებში „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, განხორციელებულიყო სავალდებულო ლიტერატურის განახლება და შესაბამისად კურსების შინაარსის დახვეწა.

„ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტში გაცემული იქნა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ სხვა უცხო ენების ჩამონათვალს დამატებოდა ქართული ენა და მისი სწავლების მიდგომები დაზუსტებულიყო ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტების მიმართ.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავების მიზეზი გახლდათ ის, რომ პროგრამაში, სადაც წარმოდგენილი იყო უცხო ენების ჩამონათვალი, არ ფიგურირებდა ქართული ენა. ინსტიტუციის უკუკავშირის მიხედვით მათ ჰქონდათ წარმოდგენილი სილაბუსები. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სხვადასხვა მიდგომა უნდა ყოფილიყო შემუშავებული იმ სტუდენტების მიმართ რომლებიც იყვნენ ქართველები და სწავლობდნენ ინგლისურენოვან პროგრამაზე და იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც იყვნენ უცხოელები, არ იცოდნენ ქართული და სწავლობდნენ ამავე პროგრამაზე. აღსანიშნავი იყო, რომ გარდა იმისა, რომ სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ სასწავლო პროგრამა, მასალები ინგლისურ ენაზე, მათ ამავე დროს ჰქონდათ პრაქტიკა, რომლის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე მენტორის გარდა შესაძლებელი იყო სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ჰქონოდათ ურთიერთობა და საჭირო ყოფილიყო კომუნიკაცია. ქართული ენის შეთავაზება ასევე მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების სოციალიზაციისათვის, ბაზრის კვლევის დროს, როდესაც გარკვეულკ ოპერატორებს შესაძლოა არ სცოდნოდათ ინგლისური ენა ან სხვა უცხო ენა. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა სავალდებულოდ მიიჩნია ქართული ენის შეთავაზების ნაწილი.

1.5 კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსში „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ გამოყენებული 2009 წლის სავალდებულო ლიტერატურის განახლებას.

ექსპერტმა ასევე საბჭოს წევრებს გააცნო კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რომლის თანახმად სასწავლო კურსზე „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო სასწავლო კურსი “სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“.

ასევე „ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებული იყო სასწავლო კურსზე „ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო სასწავლო კურსები: „ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები და ბიზნესის სამართლებრივი გარემო“, ქართულენოვან პროგრამაზე არსებული ანალოგიური კურსის წინაპირობების მსგავსად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაში გათვალისწინებული იყო ქართული ენის სწავლება, მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სილაბუსები. წარმოდგენილი იყო დაწყებითი დონის სილაბუსები, ვინაიდან ამათ აღნიშნულ დრომდე არ სჭირდებოდათ მაღალი დონის სილაბუსები. მიუხედავად აღნიშნულისა ინსტიტუციამ გააგრძელა მუშაობა აღნიშნული მიმართულებით და მათ ყველა ენაში მომზადებული ჰქონდათ B2 დონის შესაბამისი სილაბუსები. ის, რომ პროგრამაში არ იყო მითითებული ქართული ენა და დონე წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და იყო

გამორჩენილი. პროგრამაში უცხო ენის შესასწავლად გათვალისწინებული იყო კრედიტები და სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა აღნიშნული კრედიტების ფარგლებში თავიანთი ინტერესის მიხედვით შეესწავლათ ნებისმიერი უცხო ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ ასევე განაცხადა, რომ ქართულ ენასთან დაკავშირებული მიზეზები, რომელიც ეხებოდა სტაჟირებას, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ურთიერთობას და ა.შ. აღნიშნული სიტუაციები შესაძლებელია დამდგარიყო საქართველოში არსებული ნებისმიერი ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის. თუ რეკომენდაცია გაცემული იყო ქართული ენის სავალდებულობის თაობაზე, მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყო ერთიანი მიდგომა და ანალოგიური რეკომენდაცია გაცემული უნდა ყოფილიყო ყველა სხვა ინგლისურენოვან პროგრამაზე. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამაში ქართული ენა მათ გათვალისწინებული ჰქონდათ როგორც მეორე უცხო ენა და აღნიშნულს ადასტურებდნენ გადმოგზავნილი სილაბუსებით. რაც შეეხებოდა სხვა რეკომენდაციებს, რომლებიც ასახული იყო დასკვნაში და ეხებოდა წინაპირობების ცვლილებას, ლიტერატურის განახლებას და ა.შ. დაწესებულება ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციებს, გაითვალისწინეს და ასახული იყო პროგრამაში იმ პერიოდისათვის როდესაც მათ უნდა წარმოედგინათ არგუმენტირებული პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ 1.5 კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებში ლიტერატურის განახლებას. მან აღნიშნა, რომ შერჩევით გადახედა სასწავლო კურსებს. მისი მოსაზრებით კურსები „კულტურული ტურიზმი“, „საექსკურსიო მენეჯმენტი და გიდის ხელოვნება“, „ტურიზმის ეკონომიკა“ აღნიშნული კურსები უნდა დამატებოდა რეკომენდაციას და ამ კურსებშიც განხორციელებულიყო ლიტერატურის განახლება. იმ შემთხვევაში თუ კოლეგები დაინტერესდებოდნენ მას შეეძლო დეტალურად ჩამოეთვალა ის ლიტერატურა და სახელმძღვანელოები, რომლებიც უკვე იყო გამოცემული და შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამაში. მან ასევე განაცხადა, რომ პროგრამის ბიუჯეტში წარმოდგენილი იყო პუნქტი, რომელიც ეხებოდა სტუდენტთან დანახარჯებს შემოქმედებით აქტივობებზე და განსაზღვრული იყო კონკრეტული თანხა. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ თუ რა იგულისხმებოდა შემოქმედებით აქტივობებში.

ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიტერატურა პროპორციულად იყო წარმოდგენილი ახალი გამოცემებით, შესაბამისად მათ აღარ გაამახვილეს ყურადღება, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი და მასში ჩართული პერსონალი ორიენტირებული იყო პროგრამის განვითარებაზე და კარგად ჰქონდათ აღნიშნული ასპექტი გაცნობიერებული. ექსპერტთა ჯგუფმა აქცენტი გააკეთა სავალდებულო კურსებზე, თუმცა შესაძლებელი იყო კონკრეტულ პერიოდში მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ახალ გამოცემებზე. შესაბამისად, ექსპერტის მოსაზრებით, საბჭოს წევრის, ერმილე მესხიას მიერ ნახსენები კურსები თუ დაემატებოდა რეკომენდაციას, დაწესებულება მიიღებდა მხედველობაში. ამის თქმის საშუალებას აძლევდა ის გარემოება, რომ საკითხი განხილულ იყო ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიურებისას და დაწესებულება გამოხატავდა მზაობას, რომ ამ მიმართულებით განვითარებულიყო პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ „ტურიზმის მარკეტინგის“ კურსი წარმოდგენილი იყო არჩევით ბლოკში. მას აინტერესებდა ექსპერტის კომპეტენტური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხომ არ იქნებოდა უმჯობესი აღნიშნული კურსი გადატანილი ყოფილიყო სავალდებულო კურსების ნუსხაში.

ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულის თაობაზე და ვინაიდან პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში და ძირითად საგნებში წარმოდგენილი იყო მარკეტინგის კომპონენტები, მათი მოსაზრებით აღნიშნული საგნის არჩევითი სტატუსით შეთავაზება მისაღები იყო.

ბიუჯეტთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, ილია ბოცვაძემ და განაცხადა, რომ დაწესებულებაში ბიუჯეტი დგებოდა დეტალური სახით. ზოგად ხარჯებს მოყვებოდა ექსელის ფორმატში ჩაშლილი აქტივობები. აღნიშნული ხარჯები აერთიანებდა სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც ეხებოდა სტუდენტებში ტრანსფერული უნარების განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი და უნივერსიტეტი ამატებდა ხარჯებს. ლიტერატურასთან დაკავშირებით დამატებით აღინიშნა, რომ განახლების პროცესი გახლდათ მუდმივი, ყოველსემესტრულად ინსტიტუცია ანახლებდა ლიტერატურას. სილაბუსებში ასევე გათვალისწინებული იყო კურსების ხელმძღვანელების საავტორო სალექციო მასალები. მიუხედავად ამისა, აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი იქნებოდა ახალი გამოცემების დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვები როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან. ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა ბაზრის კვლევას, წარმოდგენილი იყო საკმაოდ მრავალფეროვანი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა წლებში განხორციელებულ კვლევებს. აღნიშნულ დოკუმენტებში მან ვერ ნახა 2023 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც უფრო კონკრეტულად განსაზღვრავდა ბაზრის მოთხოვნებს ტურიზმის სფეროში, კერძოდ რა ტიპის კომპეტენციის მქონე სტუდენტებზე იყო მოთხპვნა და რა ტიპის შედეგებზე გამავალი პროგრამები იყო უფრო საინტერესო დამსაქმებლებისათვის.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 16 მემორანდუმს, 5 მემორანდუმი ეხებოდა კონკრეტულად გაცვლით პროგრამებს. მხოლოდ ერთი მემორანდუმი, რომელიც გაფორმებული იყო არაფორმალური განათლების ინსტიტუტთან განსაზღვრავდა სტუდენტთა რაოდენობას. აღსანიშნავი იყო რომ სტანდარტის მოთხოვნა იყო სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა და აღნიშნულის თაობაზე ხშირად ისმოდა კითხვა საბჭოს სხდომებზე. მისასალმებელი იყო გარემოება, რომ მემორანდუმები გაფორმებული იყო საკმაოდ ხანგრძლივი ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსს. მისი ყურადღება მიიპყრო შეფასების ბლოკში არსებულმა ჩანაწერმა, სადაც მითითებული იყო, რომ შეფასება შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო ზეპირი ან წერილობითი ფორმით. მას სურდა მოესმინა განმარტება ზეპირ შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ რა ეტაპზე ხორციელდებოდა ასეთი შეფასება. მას ასევე ჰქონდა კითხვა „ოპერაციათა მენეჯმენტის“ კურსთან დაკავშირებით გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით. მან მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ რატომ გადაწყვიტეს მათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ რჩევა და არა რეკომენდაცია.

ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ მოსაზრება, რომ შესაძლებელი იყო უახლესი კვლევის განხორციელება, თუმცა გასაუბრებების და არსებული სტატისტიკის საფუძველზე დადასტურებული იქნა მაღალი მოთხოვნა პროგრამაზე. შესაბამისად განხორციელებული კვლევა მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად. რაც შეეხებოდა "ოპერაციათა მენეჯმენტს", საკითხი გახლდათ აქტუალური, აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა ექსპერტებს შორის მსჯელობა, თუმცა ვიზიტის დროს მოსმენილმა არგუმენტებმა ფაქტობრივად გამოიწვია ის, რომ ოპერაციათა მენეჯმენტთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა რჩევა რეკომენდაციის ნაცვლად. პროგრამა

ანიჭებდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას ტურიზმში, ოპერაციები რომლებსაც მოიცავდა ბიზნესის ადმინისტრირება და ტურიზმი გაწერილი იყო საკმაოდ მრავლად სხვადასხვა კომპონენტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესისათვის უნივერსიტეტმა მზადება დაიწყო 2021-2022 წლებში, პროგრამა სააკრედიტაციოდ წარდგენილი იყო 2022 წელს, შესაბამისად 2023 წელი ჯერ არ იყო მოაზრებული. მიუხედავად აღნიშნულისა, შრომის ბაზრის კვლევა გახლდათ ხანგრძლივი პროცესი, დაწესებულება გეგმავდა მინიმალური სტანდარტის დაწესებას და სამი წლის პერსპექტივით კვლევების განხორციელებას. რაც შეეხებოდა მემორანდუმებს, ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა მემორანდუმები ცოცხალი ხელომწერით, რომლებშიც მითითებული იყო თუ რა რაოდენობის სტუდენტების მირება იყო შესაძლებელი ობიექტებზე სემესტრულად და წლიურად. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავდა დიდი რაოდენობის სტუდენტები დაშვებული კვოტიდან გამომდინარე. აღნიშნული დროისათვის ჯგუფი შედგებოდა 40 სტუდენტისაგან, შესაბამისად დამსაქმებლებს ჰქონდათ იმის საშუალება დაესაქმებინათ თითო სტუდენტი მაინც. რაც შეეხებოდა ოპერაციათა მენეჯმენტს, საკითხები ჩაშენებული იყო სასწავლო კურსებში. ამავე დროს, სტუდენტებს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში, სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ ოპერაციული მენეჯმენტის საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პრაქტიკის შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო ტუტორი რომელიც ენიშნება თითოეულ ჯგუფს, კარიერული განვითარების დეპარტამენტი მემორანდუმის ფარგლებში ათანხმებს ურთიერთობებს მხარეებს შორის, განისაზღვრება სტუდენტების კვოტა, წელი და სემესტრი. უშუალოდ შეფასება ხორციელდებოდა ადგილზე ტუტორის მიერ. ტუტორი შეირჩეოდა იმ კომპანიის მიერ რომელთანაც დაწესებულებას ჰქონდა კომუნიკაცია. ქულების თანაფარდობა განისაზღვრებოდა 70-30 - ზე, 70 ქულას სტუდენტი ღებულობდა ადგილზე, პრაქტიკის ობიექტზე, ხოლო ფინალურ დაცვაზე სტუდენტი ინდივიდუალურად წარმოადგენდა პრაქტიკის ანგარიშს, სადაც მას ენიჭებოდა 30 ქულა. აღნიშნული 30 ქულა ნაწილდებოდა კომისიის წევრებს შორის, კომისია შედგებოდა მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ხუთი წევრისაგან. პრაქტიკის დაცვაზე კომისიაში გათვალისწინებული იყო გარე მოწვეული პირი, რომელიც აფასებდა სტუდენტს, რაც უზრუნველყოფდა პროცესის გამჭვირვალობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ რა იგულისხმებოდა პრაქტიკის ზეპირ შეფასებაში და როდის ხორციელდებოდა ზეპირი შეფასება. პრაქტიკის სილაბუსში გაწერილი იყო, რომ პრაქტიკა ფასდებოდა ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განმარტა, რომ აღნიშნული გალხდათ ზოგადი ტექსტი, სტანდარტული წესი, რომელიც მითითებული იყო ყველა სილაბუსში და აღწერდა შეფასების სისტემას. ზოგადად ზეპირი შეფასება ხორციელდებოდა სტუდენტის მიერ საბოლოო ანგარიშის და პრეზენტაციის წარმოდგენის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაეფისირებინათ მათი მოსაზრება. წევრებმა განაცხადეს, რომ დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ, რის საფუძველზეც საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგებლებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებუული გადაწყვეტილება, მიზანშეწონილია, რომ ძალაში შევიდეს 2023 წლის 01

ივლისიდან, რადგან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა იწურება სწორედ 01 ივლისს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენა
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:41

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩვები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“, ,,მენეჯმენტის საფუძვლები“, ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, - " კულტურული ტურიზმი", "საექსკურსიო მენეჯმენტი და გიდის ხელოვნება", "ტურიზმის ეკონომიკა" სავალდებულო ლიტერატურის განახლება და შესაბამისად კურსების შინაარსის დახვეწა;

2. რეკომენდებულია პროგრამების მდგრადი განვითარების მიზნით შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება პროგრამებთან ბმაში;
3. რეკომენდებულია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს სტუდენტთა რაოდენობა.

რჩევები:

- სასურველია დაკორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 შედეგი, რომელიც შემდგომში სრულად ასახავს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეულ შედეგებს;
- სასურველია სამიზნე ნიშნულები განესაზღვროს მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების სპეციფიკური შუალედური შეფასების ცალკეულ კომპონენტებსაც (მაგ., ესე, რეფერატი, პრეზენტაცია, მინიპროექტი და მსგვ.);
- სასურველია სასწავლო კურსები ,,ტურიზმის სტატისტიკა", ,,ადამიანური რესურსების მართვა" შეივსოს პროფილური ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით;
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში ადამიანური რესურსების მართვა დაკონკრეტდეს სად ან როდის იკითხება მე-4 კვირას ჩანიშნული ქვიზის შემდეგი საკითხები: ბიზნეს გარემო, დაგეგმვა და მიზნის დასახვა, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება;
- სასურველია დაწესებულების მხრიდან განხორციელდეს დამსაქმებელთა ჩაღრმავებული კვლევა, რათა შეიქმნას ბაზრის მოთხოვნის სრულყოფილი სურათი;
- სასურველია, გადახედილ იქნეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის კვლევის საფუძლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები) ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები (განსაკუთრებით ერთი ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსების) სინქრონიზაციის მიზნით, კერძოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ დეტალებზე როგორიცაა: გამოყენებული ლიტერატურა, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები (მაგ. ბიზნესის კვლევის საფუძვლებში დასკვნითი გამოცდა ინგლისურენოვან სილაბუსში ფასდება კვლევითი პროექტით, ქართულენოვანში ტესტებით, ამავე კურსის ინგლისურენოვან სილაბუსში შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდენილია 70/30-ზე თანაფარდობით, ქართულენოვან სილაბუსში 60/40-თან თანაფარდობით და ა.შ).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის" (ინგლისურენოვან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსზე ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები: ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლების და ბიზნესის სამართლებრივი გარემო ქართულენოვან პროგრამაზე არსებული ანალოგიური კურსის წინაპირობის მსგავსად.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ გამოყენებული 2009 წლის სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
3. რეკომენდებულია : პროგრამების მდგრადი განვითარების მიზნით შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება პროგრამებთან ბმაში
4. რეკომენდებულია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს სტუდენტთა რაოდენობა

რჩევები:

- სასურველია დაკორექტიდეს ტექნიკური ხარვეზი: სხვა უცხო ენების ჩამონათვალს დაემატოს ქართული ენა და საჭიროებისამებრ მისი სწავლების მიდგომები დაზუსტდეს ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტების მიმართ;
- სასურველია ტექნიკურად დაკონკრეტდეს სასწავლო კურსი ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“;
- პროგრამის სწავლის მე-3 შედეგის მხოლოდ განმტკიცებას ემსახურება, თუ ამავე დროს აღრმავებს აღნიშნულ სწავლის შედეგს, როგორც ეს არის მონიშნული ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამაში;
- სასურველია, გადახედილ იქნეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის კვლევის საფუძლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები) ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები (განსაკუთრებით ერთი ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსების) სინქრონიზაციის მიზნით, კერძოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ დეტალებზე როგორიცაა: გამოყენებული ლიტერატურა, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები (მაგ. ბიზნესის კვლევის საფუძვლებში დასკვნითი

გამოცდა ინგლისურენოვან სილაბუსში ფასდება კვლევითი პროექტით, ქართულენოვანში ტესტებით, ამავე კურსის ინგლისურენოვან სილაბუსში შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდენილია 70/30-ზე თანაფარდობით, ქართულენოვან სილაბუსში 60/40-თან თანაფარდობით და ა.შ).

- სასურველია დაწესებულების მხრიდან განხორციელდეს დამსაქმებელთა ჩაღრმავებული კვლევა, რათა შეიქმნას ბაზრის მოთხოვნის სრულყოფილი სურათი.

დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 2023 წლის 20 ივნისის სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:45 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია